



## სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

### დანართი № 7

## დისციპლინარული პროცედურები ყვითელი/წითელი ბარათის და საითინგის დროს

### 1. წითელი ბარათი

- 1.1. მატჩის დროს მსაჯის მიერ წითელი ბარათით მოთამაშის/პიროვნების სათამაშო არედან გაძევება, ნიშნავს მოთამაშის/პიროვნების გაძევებას ამ კონკრეტული მატჩის ბოლომდე.
- 1.2. მსაჯი რომელმაც ყვითელი/წითელი ბარათით გააძევა მოთამაშე/პიროვნება მატჩის დროს, ვალდებულია შეავსოს და მოაწოდოს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წითელი ბარათის ოქმი არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში მატჩის დასრულებიდან.
- 1.3. წითელი ბარათის ოქმში აღწერილი დარღვევის წინასწარი შეფასების შემდეგ, დარღვევის განსახილველად მიღების შემთხვევაში, სრკ-ს სადისციპლინო სამსახური ნიშნავს სადისციპლინო კომისიას, რომელიც დამრღვევ მოთამაშის/პიროვნების მხარეს გონივრულ ვადაში ატყობინებს და აწვდის დისციპლინარული დაღვევის შესახებ მის ხელთ არსებულ მასალებს (წითელი ბარათის ოქმი, ვიდეომასალა და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში წითელი ბარათის მიმღები მოთამაშე/პიროვნება არ ითვლება რამენაირად შეზღუდულად.
- 1.4. სადისციპლინო კომისია გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღისა), წერილობით(ელ.ფოსტით) ატყობინებს რელევანტურ მხარეს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას.

### 2. ყვითელი ბარათების და საითინგ კომისრის გაფრთხილების აკუმულირება სათამაშო სეზონში

- 2.1. მოთამაშის მიერ მიმდინარე საამაშო სეზონში 3(სამი) ყვითელი(არატექნიკური დარღვევისთვის) ბარათის და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილების (და/ან ყვითელი ბარათების და საითინგ კომისრის გაფრთხილების ერთობლივით), დაგროვების შემთხვევაში, ასეთი მოთამაშე ჩაითვლება როგორც წითელი ბარათით გაძევებული.



### 3. საითინგი (პიროვნების/სრკ-ს წევრი სუბიექტის მიერ)

- 3.1 პიროვნებები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების დაფიქსირება სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, **იმ პირობით, რომ ეს ინციდენტ(ებ)ი არ დაფიქსირდა მატჩის ოფიციალური პირების მიერ.**
- 3.2 პიროვნებებმა, მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან, მატჩის დროს სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების შესახებ წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები საითინგ კომისარს ან მის ლიეიზონ ოფიცერს, **24(ოცდაოთხი) საათის** განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ინციდენტებს.
- 3.3 იმ შემთხვევაში, თუ სრკ-ს მხრიდან მატჩზე არ იყო დანიშნული საითინგ კომისარი ან მისი ლიეიზონ ოფიცერი ან ინციდენტს ადგილი ჰქონდა სათამაშო სივრცის მიღმა, პიროვნებებმა, მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების შესახებ, წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს, მატჩის დასრულებიდან ან სათამაშო სივრცის მიღმა მომხდარი ინციდენტიდან, **48(ორმოცდარვა) საათის** განმავლობაში.
- 3.4 პიროვნების მიერ საითინგში აღწერილი დარღვევის წინასწარი შეფასების შემდეგ, დარღვევის განსახილველად მიღების შემთხვევაში, სრკ-ს სადისციპლინო სამსახური ნიშნავს სადისციპლინო კომისიას, რომელიც დამრღვევ მოთამაშის/პიროვნების მხარეს გონივრულ ვადაში ატყობინებს და აწვდის დისციპლინარული დაღვევის შესახებ მის ხელთ არსებულ მასალებს (საითინგი, ვიდეომასალა და ა.შ.).
- 3.5 სავარაუდო თამაშის წესების დამრღვევი და/ან ქცევის კოდექსის დამრღვევი ან არამართებული ქცევის ჩამდენი მოთამაშე/პიროვნება არ ითვლება რამენაირად შეზღუდულად, სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის მიერ საჩივარის მიღების დადასტურებამდე.

- სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისი პროცედურების დაცვით, შესაძლებელია გასაჩივრდეს სრკ-ს სააპელაციო საბჭოში გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან **72(სამოცდათორმეტი) საათის** განმავლობაში.